

F-24  
1887.



# თეატრი

საქართველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 2

იანვრის 18.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა მოიღება: თბილისში რედაქციის კანცლარიაში. ფოთში ბესარ. კალანდაძესთან. აღრქესი გარეშე მცხოვრებთათვის: ТИФ-ЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ "ТЕАТРЪ." გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან: აღინანოვის პაპიროზის მაღაზიაში. ქუთაისში: ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-მახერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორექსპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

„თეატრის“ კანტორა უმოკრილმსად სთხოვს გბ. ხელის მომწერალთ დაუზრონ ფულის გამოგზავნა. ვინც ამ თვის 29-მდის არ წარმოადგენს ფულს, გაზეთის გამოგზავნა მოესპობა.

## ლ ე ქ ს ნ ი

(თარგმანი).

პეტარზ ვიუავ და ჩემს სახლშია მილში, სიზმარში, შინ და კარშია ცუბით მიდებდნენ ჭკუას თავშია. ვიუავი მუდამ ამ ტანჯვაშია. წამოვიზარდე—მიმცეს სწავლაში, მაგრამ ჩავეარდი უარესს ქაბში.



59

დღე და ღამ წიგნზედ მართმევედნენ სულსა,  
 როზვით და რისხვით მისეთქდნენ გულსა:  
 კინდა მოკვდი და გაიგონეო  
 და ჩვენს ბრძანებას დაემონეო.  
 სასწავლებელში ველოდდი შვებას  
 და ჩავვარდი კი უარესს სნებას.

ბოლოს დავდექი ცხოვრების გზაზედ,  
 უფრო დამერთო სევდა სევდაზედ.  
 გროშის გულისთვის ნამუსს ვვიდიდი,  
 მით რჩენის ღონეს ველოდებოდი.  
 ბოლოს მიბრალა უფალმა მეცა:  
 ცოლის მშითვითა სარჩო მომეცა.  
 მაგრამ დაჭსედეთ ჩემს მწარე ბედსა —  
 ახლა ჩავარდი უარესს დღესა.

სუეველა ვცადე, მე უბედურმა,  
 და ვერ შეუძლო ამ ჩემმა გულმა,  
 ცოლის სიანჩსლეს, ცოლის ბაშბაკსა,  
 ცოლისა შფოთსა, მის გულის ერასა.  
 ამა ცხოვრების მნახველმა დღესა  
 სუეველა მივეც დავიწუებასა:

ღმერთს გეფიცებით, ჩემს ბავშვობასა  
 ვიგონებ როგორც ნეტარებასა,  
 ტუქსვას ვიგონებ ვით განსვენებას  
 და როზვით ცემას, ვით ცის წეალობას.  
 1871 წ.

## მ ო თ ხ რ ო ბ ა ნ ი

ნამდვილი ჟორჯინება.

(თარგმანი)

შოველ ცისმარე დღეს, როგორც კი დარეკდნენ ახლო ეკლესიის ზარს, ის თავის დედით მკლავი-მკლავს გაყრილი გაივლიდა ხოლმე კარდინალის ქუჩაზე. შავლის შემდეგ ორთავე ქალის შავი ტანისამოსი და მგლოვიაჩე სახე თითქო რალაც მწუხარების კვალს სტოვებდა გზაზე. მსენი ძლიერ ხშირად დადიოდნენ ამ გზით. ეს იყო მიზნები, რომ მათ ყველა ამ ქუჩის ვაჭარი იცნობდა. ღილ-ღილობით ისე აღრე გამოივლიდნენ, რომ ვაჭრები ის-ის იყო დგებოდნენ ლოგინიდან და თვალების ფშვნეტით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს: „აი ხედავთ, ქალბ. ოსიუნე მიბრძანდება ეკლესიაშიო.“

ამავე დროს იქვე ახლო ველზედ იწყებოდა ჯარის ვარჯიშობა, საიდგანაც მოისმოდა სალდათების ხმაურობა „და რალაც ზარების ქლარუნი“ და მძინარე ხალხს სწრაფად აღვიძებდა ხოლმე. აქა—იქ ხედავდით კარებში მდგომ აფიცრებს, რომლებიც ზანტად და ზღაზენით იფშვნეტდნენ ნამძინარე თვალებს და „მუნდირების“ ჩაცმას ეჩქარებოდნენ. ძაზარმის ახლო ისმოდა ნამძინარევი ჯარის ფეხის ხმაურობა და ხმლების ქლრიალი. ასე დაიწყებოდა ხოლმე ყოველი დღილა და შემდეგ ამ ხმაურობას ქალაქის ქლრიათულიც ზედ ერთობოდა ხოლმე.

პოდპორუჩიკი მორანჟისი, უმეტეს ნაწილად, ყველაზე გვიან მიდიოდა ხოლმე ამ ძახილზედ. საათის მაგივრობას ეს ორი შავათ ჩაცმული ქალი უსრულებდა. შოველს დილაზე გამოვლის დროს, ამ ქალებს ესმოდათ კიბეზედ ამოვლილის სამხედრო პირის ხმლის რახარუხი და შემდეგ შე-

ხედავდნენ ერთს რაღაც გამხდარ მაღალ ტანის კაცს, რომელსაც სიარულში ეტყობოდა, რომ სადღაც მიეჩქარებოდა.

ახალ გაზდა ქალი ჩუმ-ჩუმად კიდევ დასცინოდა ამ კაცს, რადგანაც ყოველს დღეს სიარულით თითქმის მიჩვეული იყო ამ ნაირს შეხვედრას. როდესაც ხმაურობა მისწყდებოდა კიბეზედ და ფანჯრები დახურული, იყო, ქალი ჩააცივდებოდა ხოლმე დედას: „დედი, მითხარი გენაცვა, ეს კაცი ავთ არის? მე არ მოგიკვდი, ეს ან ავთ არის და ან სულ გიჭია!“

პრთხელ ვილამაც გვიამბო ქალაქში ოსიუნეს ცხოვრების ისტორია, თუ როგორ დაქვრივდა და როგორ გაატარა შემდეგ ქვრიობაში თავისი ცხოვრების დანაშთენი დღეები. იმისი ცხოვრება თითქმის ისევე მიდიოდა, როგორც საზოგადოდ ქვრივი ქალების ცხოვრება და რადგანაც ქმრის შემდეგ მისი ნუგეში და სიცოცხლე მართა ეს ერთი ქალი იყო, ამისათვის არავის მიაბარა და თვითონვე აღზარდა.

დედა-შვილი ერთმანეთს არასოდეს არ შორდებოდნენ. შერთმანეთით ერთ წუთსაც ვედ ნახავდით. შოველ დილით ბეჯითად გამოივლიდნენ ამ ქუჩაზე და დახურულ ფანჯრების ახლოს ჩაილილინებდნენ ხოლმე რაიმე მოსაწყენ შინაარსიან ლექსებს.

მორანჯის ძალიან დაუგვიანდა ჯარის ვარჯიშობამში წასვლა. ის იყო პირველად შეხედა იმ დღეს ქალბ. ოსიუნეს. იმ დღეს რამდენსაც დაისვენებდა სამსახურში, იმდენს ოცნებას მიეცემოდა ხოლმე; ოცნებაში ეხატებოდა იმ ქალის მშვენიერი თეთრი პირის სახე. მასზედ მაყვალსაებრ შავი თვალ-წარბი, რომელსაც რძე და ღვინის ფერს ჰფენდნენ მისი ოქროს ფერი ნაწნავები.

ამ ქალის სილამაზემ მორანჯის მოაგონა მუზეუმში ნახული მემლინის სურათი, რომელზედაც არის გამოსახული ხარება წმინდის ქალწ. მარიაშისა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ ეს ოცნებაში დაკარგული კაცი ერთ დროს გახდა ბედნიერი: გაიცნო ეს ორი ქალი,



დაიწყო ხშირ-ხშირად მათთან მსვლელობა და აქედან იწყება ჩვენი რომანიც.

მორანჯისის სიყვარული წარმოუდგენელი იყო. იმას ვერ წარმოედგინა თუ ქვეყანაზე იმ ქალისთანა „ქალთა-მზე“ კიდევ იქნებოდა; მზათ იყო მის წინ აღდგომის სანთელსაგით ყოველს წამს დამწვარიყო. ორივე ისე გაეტაცა სიყვარულის დამაბრმავებელ ძალას, რომ ერთს წამსაც არ ფიქრობდენ მომავალ ცხოვრებაზე. მსენი ისე უყურებდნენ ამ დროს ქორწინებას, როგორც უსუსური ბაშვი, რომელიც არაფერს მნიშვნელობას, დროს დატარების გარდა, არ აძლევს „ცოლ-ქრმოზის“ თამაშს. მზითევი ამ ქალს არაფერი არ გააჩნდა და კაცსაც თვეში მხოლოდ 197 ფრანკი ეძლეოდა. ღა ეს იყო მათი ამა ქვეყნიური სიმდიდრე. ღედა უყურებდა შეყვარებულს თავის ქალს და სიძეს და ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე მათ სიღარიბეს, მაგრამ მაინც თავს ინუგეშებდა ხოლმე:

„მანა ღმერთი კი არ ზრუნავს შეყვარებულთათვისო.“

ღაიწერეს მათ ჯვარი ამალღების ღღეს.

მთელი ძარღინაღის ქუჩა ფეხზე იღვა „თვაღებათ იყო გარღაქღეული, როღღესაც მეფე და ღეღოფაღმა გაიარეს. ხაღხი თავის თვაღ, არ უჯღერებღა და ძვეღი ჩვეუღებისამეღრ ეკიღხებღღენ ერთმან-ერთს: „ხეღაღეთ ქაღბ. ოსიუღენ ეკღღესიღაში მაღბრძანღებაო.“ \* მეფე ღეღოფაღს რაღაც სიხარუღის სხივი ეფინათ. მეღანებღდა კაცს როღმ ღეღოფღის პირის-სახე, მისი თეღთრი საქორწინო კაბა და საზოგადოღ მხიარღლი მორთუღღობა, თვიღთვეუღ სახღს უღღიმოღდა და ეუღბნებღდა: მხეღაღეთ როგორ მხიარუღღათა ვარო, მომწყინღდა ამღღენი ხნის შაღვი ტანისამოღის ტარეღბა, როღმელმაც სიციღცხღე ჩამამწარაო. როღღესაც მობრუნღღენ ეკღღესიღღღღან და გამოიარეს ერთს პატარა სახღღთან, ჩუღმათ მონანჯისმა ცოღს ხელი წაკრა და შეახეღდა იმ სახღს საღაც ღღიღი ასოეღბით იყო წარწერიღლი: „აეეჯუღღობით მორთუღღი სახღი ქირაეღღბა.“



— სულიკო, გახსოვს ის ღრო, როდეს ამ ოთახიდგან გიჭივით გამოვარდებოდი ხოლმე დილ-დილით და ისე მიმეჩქარებოდა, რომ შენი მშვენიერებითაც ვერ ვსტკებოდი?!

ძალმა მოჰკიდა ქმარს ხელი და ღიმილით უთხრა:

— უჰ, რა სასაცილო რამ იყავ მაშინ!

ჯვარის წერის ღროს ბევრი ხალხი დაესწრო ეკლესიაში. მუსიკა განუწყვეტლად უკრავდა. შიგნით ეკლესიაში ტევა აღარ იყო. მღვდელმა გაათავა სახარების კითხვა— ამ თხვია მეფე დედოფალი ჯვარზე... მორანქისმა გაუგებრივ დაავდო თავის პატარა ლოცვანი საწიგნობელზე, თითონ მიიფარა ხელები თვალეზზედ და მიეცა ღრმა ფიქრებს.

წარმოიდგინა თავის თავი კოლიანათ პარიჟში— სადაც უცდიდნენ მისი ნათესავეები ნაცნობები, და მრავალი სხვა... მისალოცავათ. ამ ფიქრებმა ისე გაიტაცეს ეს კაცი, რომ აღარაფერი ესმოდა, არც მღვდლის სიტყვები, არც დიაკვნის კითხვა და არც აუარებელი ხალხის ხმაურობა. მსმოდა მას მხოლოდ მდ. სენის ღრიალი, რომელიც რაღასაც შეჰბუტბუტებდა თავის არე-მარეს.

— რაზედ ფიქრობ გენაცვა; წაუჩურჩულა დედოფალმა.

— ბრაფერზე, რა ცნობის მოყვარული უნდა იყო შენ ჩემო სულიკო! გამოფხიზლდა მორანქისი და მიუგო. მორანქისმა ერთი პირჯვარის გამოსახვა კიდევ მოასწრო და მღვდელმა შემდგვის სიტყვებით გამოაცილა ეკლესიიდგან: „Benedicad vos deus omnipotens et dilius et spiritus constus.“

მობრუნდნენ პარიჟიდგან; დაიქირავეს ერთს შივარდნილ ალაგს თავისუფალი სახლი და ცხოვრობდნენ. შვეილების სუნი, რომლითაც აივანი თითქმის საესე იყო, ატკობდა მათ ყნოსვას. შარშემო ისმოდა ფუტკრების ზუზუნნი და სალამ-სალამოობით მოფრინდებოდა ხოლმე ბუღბუღლიც, რომელიც თავის ტკბილის ვალობით ატკობდა არე-მარეს. ჩვენმა შეყვარებულებმა იქირავეს თუ არა ეს სახლები, შევიდვენ შიგ, ჩაკეტეს კარები, გასაღები ბიქს მისცეს და უბრძანეს: „თუ ვინ-



მე მოვიდეს და გვიკითხოვს ასე უთხარი: შინ არა ბრძანდებიან თქო.“

მათი სახლის კარები იღებოდა მხოლოდ ქალები. მსიუნესათვის, რომელიც ყოველს ორშაბათს დამწვარ-დაღონებული მოვიდოდა შვილთან და სიძესთან, ისადილებდა გემრიელად და წავიდოდა ცოტაოდენ სევდა გადაყრილი.

ღრო გამოშვებით მორანჟისი ხან სამსახურში, ხან თავის კაპიტანის გასართობად იძულებული იყო, წასულიყო ხოლმე ადგილობრივ კლუბში, მაგრამ აქ მთელს საღამოს მოღრუშული ატარებდა ხოლმე და თვალები სულ კარებისაკენ ეჭირა: აი როდის წავალ და აი როდისო.

ამხანაგები, რასაკვირველია, ხედავდნენ ამას და გულსაკლავად დასცინოდნენ:

— აა! ძაცო შენ აქა ხარ! შაიქეც შინა! შაიქეც რაღა—შენ სახლს ცეცხლი მოჰკიდებიაო!

მს სიტყვები ამას სრულებითაც არ აჯავრებდა და დამშვიდებით უგებდა ხოლმე შესაფერს პასუხს:

მოიცათ შვილონა, გნახავთ როგორ მოიქცევით როცა ცოლ-შვილიანობას მოეკიდებით... და, როდესაც კარებს გაიხურავდა და გაუდგებოდა თავის გზას—დანარჩენი აფიურები ზოგი მხრებს იწედა ზევით და ზოგი კი შეჭნატროდა იმის ცხოვრებას:

— აი ბედნიერი კაციო!

(გაგრძელება იქნება).

### ხალხური ლექსები.

მარგალიტსა ვადუღებდი,  
გადმოვიდა გუბე წყალი:  
კალთაშია დავიდნები,  
შენი ხელით მასხი წყალი;  
ამას მაინც იტყვის ვინმე,  
რისთვის მოკვდა ის საწყალი.

## ყ რ ი ე ლ ა ვ ე ს ტ ა

(გაგრძელება).

### გამოსვლა მამკვსა.

მანასე და სსვა სტუმრები ტერასიდან წამოდინან, ივლითი და ურბელი სსვა მსრიდამ გაშოდინან.

მანასე.

რას სვიმონ? დე-სანტოს აქ არის?

ურიელ (შემოდის ივლითთან ერთად).

დიაღ, ის არის...

ივლით.

შერე რა კუეოთ?

რას კრთი?.. გრცსვენოდეს! სად არის სილვა?

(მუსია, რომელიც აქამდის უკრავდა, ჩუმდება).

რას მუსიკა? შენ რას განუმიდი,

შენ საბრალო გულთ შეამბაკალო?

ურიელ.

ივლით, ივლით, აკერა მოვიდა!

(ისმის საყვირის ხმა; უგელანი შეერთებთან და ტრასისკენ მიბრუნდებთან)

### გამოსვლა მამკვიდე.

(ივინიკე და რაბინი სანტონს, რომელსაც თან ოთხი რაბინი მოსდევს. ოთხს რაბინს შირში საყვირები უჭირავთ და სანგრამლივად, შედიდურად უკრავენ. ივინი ტრასსკედ რჩებთან. შემდეგ იოხაი და სილვა შემოვლენ.)

მანასე. (როდესაც საყვირის ხმა შესწყდება).

მაუწყებელნი შეჩვენებისა

და ეს ჩემს სახლში...



სანტოს (დიდებულის ხმით ტრასილამ).

საყვირის სმითა

მოგესალმებით აქ შეკრებილნო!  
ჩვენ უველამ იგი დღე მოვიგონათ,  
როს მამა-მთავარს ჩვენსა აბრამსა  
უნდოდა შვილის მსხვერპლად შეწირვა  
ღმერთისთვის. მაგრამ უფალმა რჩევა მას:  
დაუტყვე კვ და მის მაგივრად  
შემომწირე მე მსხვერპლად იგი თსა,  
რომელიც აქვე ტუეში აბია.  
აბრამსაც დაუტყვა ძე თვისი  
და მართლის და უმანკო კანის  
მაგივრად იმან დაქლა ცხოველი...  
ოჰ, მძანო, ვინც ღმერთს ისრაილისას  
მარად ადიდებთ, — გვერდზედ მოდექით!  
მამა აბრამის შთამომავალიდგან  
უფალი ჩვენი მსხვერპლს არ თსოულაბს...  
შენ კი, ავოსტა, მსოლოდ შენ მარტო  
დარჩები მანდა!

(ურიულს ყველანი მოშორდებიან; ივდიით ყოყმობს).

მანასეს ქალი?

იქნება არ გსურს ისრაილის ღმერთს  
ემსახურო შენ?

(ივდიით ყოყმობით ნელ-ნელა შორდება და სხვეს უერთდება).

შრიელ (იქით)

ისიც გამშორდა!..

სმანს ანდამატი სულელურ როტვის  
ძრიერი არის. (სანტოსს) ნუ თუ, რაბინო,  
გტონია იდგე აქ სინაიზე?  
რომელმა მოსემ ამოგირჩია  
თავის სიტყვების, წარმოსთქმელად?  
ვინ მოგცა ნება, რომ განაკებდე  
შენ ჩემს ბედსა და უბედობას?

## სანტოს

თუ შენ ნამდვილად ებრაელი ხარ,  
 გეცოდინება ვინც მომცა ნება:  
 ძალაღმა დმერთმა!

იოსხი (წინ წამოდგება)

შემატეობინეთ.

რა მოხდა აქ? რა ამბავია?...  
 დე-სანტოს, ნუთუ გინდა რომ მიგვენ  
 ჩვენ სუვეელანი ჰასუსის გებას?  
 თუ ამსტერდამმა მოგვცა ჩვენ ნება,  
 რომ ჩვენი საქმე ჩვენვე განვუგოთ  
 და სამართალიც ისეთი გვექონდეს,  
 როგორსაც გვიწერს ებრაელი სწული, —  
 ამისი ნება მოგვცა ჩვენ მხოლოდ  
 შესახებ ჩვენის ებრაელების  
 და ავოსტა კი-ქრისტიანია.

ჟველანი.

ქრისტიანია!

ივლით.

აჰ, დმერთო ჩემო!

იოსხი (იქით)

და თქვენ გინდათ, რომ ეს შეაჩვენოთ?  
 ისრაილის ძე კერ შეაჩვენებს  
 ქრისტიანს კაცსა.

ივლით (იქით).

რამაც ის იღებს

იგი მე ძღუეზავს

სანტოს.

თუ რომ ავოსტა

ქრისტიანია, ბაკენი ჩემნი  
 დადუმებუიან. (დანარჩენთ ხელით ღოცავს.)

გარდმოუვლინე

ისრაილის ძეთ უფალო მადლი  
და მშვიდობა!

ურიელ

ვინ ამტკიცებს მკვას?

ვინ ამბობს...

იოსხაი

მამაშენს სასილობითურთ

მამა-პაპისა სარწმუნოება  
დიდისანია გამოუცვლია  
და ჯერ არაფრით დაგიმტკიციათ,  
რომ კვალად გახდით ებრაელები...  
შენ ესლა ისევ ქრისტიანი ხარ  
და ჩვენ პატივად უნდა მიგკანცდეს  
თქვენი სტუმრობა...

მანასა.

წავიდეთ დროით!

დიდისანია მეკლისი გველის.  
და ქრისტიანმა აკოსტამ უნდა  
მოგვიტეოს, თუ საჭმელ-სასმელსა  
ისეთს ვიხმარებთ, როგორსაც გვიწერს  
ჩვენ ჩვენი სჯული...

ურიელ

დასედე ამით!

მე-ქრისტიანი ვარ? როგორც ვსედავ!  
თქვენ გსურთ დადინვით გამოლოთ ვარი  
შებრალებისა უწმინდურ გულით?  
ეური დამიგდეთ. ისევ ურმა ვიყავ  
როცა მამნათლეს უცბად, უეცრად.  
არც ჩემს დედ-მამას, არც მე, არც და-მძებს  
არ მიგვიღია სჯული ქრისტესი  
მღვდლისგან, არც ოქროს და არც დიდებს  
ქრისტიანებად არ გაუუხდივართ, —  
ანა, ჩვენ გვეკანდენ მიმრქმელებათა

ვალათნი წმინდის ინკვიზიციის.  
 ქრისტიანების ერთს სკოლაში  
 შეიღეს წელიწადსა ძალად დაუეჭვით  
 და გვაშინებდნენ გზა-გზა წამებით...  
 შიშ ქვეშ გიყავით და თუ რომ შიში  
 საძირკველია საწმინოების,  
 ჩვენ ვერავინ ცილს ვერ დაგვწამებდა,  
 რომ არ ვიყავით წრისტიანები!..  
 დრო გადიოდა და მეც თან და თან  
 გონება უფრო მინათლდებოდა  
 და როგორსაცა ესლა მხედვით მე  
 გავხდი ახლის სულისა ძაღლით.  
 მე ჩემს წინაშე გზას ხსნილს ვხედავდი  
 გულ-გონებისა სავარჯიშებლად,  
 მე თავისუფალ კარად ვგრძნობდი თავს,  
 მეც შემქმნელ ის შემეყარებოდა,  
 რაც სხვას უყვარდა და მშინებოდა  
 იმისი, რისაც სხვას ეშინოდა;  
 მეც, როგორც სხვასა, მიცემდა ძარღვი  
 ჩვენს დიდებულ დროთ მოგონებაზედ.  
 მე მაშინ ვიყავ ჰორტუგალელი,  
 სამშობლო მხარე, არსების ნება—  
 სუვეულა მქონდა!.. მაგრამ დასედეო,  
 ჩემი სახლობა, მეც მათთან ერთად,  
 გამოვიქცეით ნიდერლანდშია.  
 აი აქ მხოლოდ, ამ ქვეყანაში,  
 მათ თავისუფლად ამოისუნთქეს,  
 უკულა მათგანი ეჩქარებოდა  
 მოწმენდას ჩირქის ნათლისღებისას.  
 მამა გაუხდა მათ მაგალითად  
 და კვლად გახდნენ ებრაელები.  
 მათს მაგალითსა მიჰყვები მეც?  
 ვიცი იკითხავთ. ზირდაშირ ბატონით:  
 კმა-ყოფილებით მივერემოდი

მას, რაც ეველასთვის სასოგადოა,  
 განცალკევებულს ჩვენს ცხოვრებასა  
 დაგუტკეპბდი და მივცემდი თავს  
 წყაროსა ქვეყნის მოძრაობისას, —  
 და ნებაც მქონდა მე ამის ქმნისა,  
 მაგრამ არ ვშვრები.., და რისთვისა?  
 ამასუდ თქვენ მე ნურაფერს მკითხავთ.  
 მაშ იოსებმა სისარულისგან  
 რისთვის იტირა ეგვიპტეშია,  
 როს მასთან იგივე მძეპი მივიდნენ,  
 რომელთაც იგი სსეუბსუდ გაუიდას?  
 თუმც გვეჯავრება იგი ფალსაი,  
 რომელიც თვითონ ჩვენ მოვიტანეთ  
 აღმოსავლეთით, ვით ჩვეულება. —  
 მაგრამ ჩვენ იგი აწ გვაგავშირებს,  
 თუმც ეს გავშირი თვალთ-მანჯლობაა.  
 დაძველდა უკვე ჩვენი გავშირი,  
 მას მსოლოდ ერის სახელი იცვამს  
 გახრწნილებიდან, -და ეს სახელი  
 მიბრძანებს ვიყო მეც თქვენი მოძმე.  
 თქვენ, მართალია, ჭოლანდიაში  
 როგორათაც ერს გიუურებენ,  
 მაგრამ აქაც ხომ ისევე ცხოვრობთ,  
 ვითა ცხვრის ფარა მელისგან დამფერთსალი.  
 და ქრისტიანის უბრალო სურვილს  
 ემორჩილებით და ემონებით.  
 საკმაო არის მცირე რამ იტვი,  
 რომ თქვენ ხელ-ასლად- ვით აღასიერმა,  
 დაიწყეთ მარად დღე-ღამ ტანტალი,  
 დარში, ავდარში, დაუსვენებლად!..  
 მერე? როცა თქვენ ასე მოგივათ,  
 მე უნდა ჩრდილ ქვეშ განვისვენებდე  
 მწვანე ბაღასუდ? არა, ტანჯვა მსურს



დატანჯულებთან. შეჩვენების  
ნება გაქვსთ თქვენა: ებრაელი ვარ!

სანტოს

თუ მისთვის ჩემო ებრაელობას,  
რომ ჩვენ აგვიგდო აგრე მასსარად.—  
სჯობს ისევ დარჩე ქრისტიანად.  
შენი თხზულება დავწვით ცეცხლშია  
და შენ მიგერიო შეჩვენებსა!  
შენს ღმრვას ზეტა როდი შეისმენს,  
ყოველი შენი სიტყვა შხამია  
და შენი სუნთქვა—ქამი და ჭირი.  
ეური დაუგდე წვეკლას, ცოდილო:  
ვის კარებსაც დაურახუნო  
გაგილოს იგი ხელმა მტრისამა!  
შხამათ და ბრახათ გქმევს წამალი  
ავადყოფობის დროს დალეული!  
სულიცა ტანჯვით დაგილეკია  
ტიღს ალაგას.

ჰველანი (თახალუნუნია)

ოჰ, უბედურო!

სანტოს.

იარე ბრმათა და წვეულ იყოს  
ვინც მოგცეს ხელში შენ უკარჯენი!  
მიწა გასქდეს და თან ხაგიტანოს,  
როცა წაიქრე...

ჰველანი.

ჰე უბედურო!

სანტოს.

ეკლესიამ შენ უკმა ბაბილონა  
ჩემის შირითა იგი გწვეკლის შენ  
და იმ საშოსაც, რომლისაგანაც  
შენ დაიბადე...

ურიელ (იქით)

ოჰ, დედა ჩემო!

## სანთოს.

წვეულიმც იევნენ ის მეგობრები,  
 რომელთაც შენა გაჭირვების დროს  
 უნუტეშოდა არა დაგტოვონ!  
 წვეულიმც იევნენ ისინიც, ვინცა  
 მცირედაც არის თანაგიგონობენ!  
 წვეულიც იყოს ყველა, რასაც კი  
 შენ უწმინდური ხელი შეასო!  
 ისე დადნები სიყვარულისგან,  
 რომ ვერ გაიგებ ვერც ერთ ქალსგან  
 მსურვალე აღერსს...

ივლითი (სწრაფად წინ წამოდგება)  
 სტუფი რაბინო!

## მანასა.

როგორ! თავხედა!

## სილვა.

იოსაი, შენ

წაიყვას ქალი!

იოსაი (ივლითს).

შე მოღალატე!

## ივლით.

დაბად, ვღალატობ ჩემს თავს და თქვენს!  
 თქვენს ღალატს სევდა მადლად ჩამითულის!  
 უგუნურებო! შეაჩვენეთ თქვენ  
 იგი ღმერთები, რომელნიც აწ ჩვენ  
 ორივესა გგწამს. მხოლოდ ეს ღმერთნი  
 არიან წმინდა და ჭეშმარიტნი!  
 ისწავლეთ მათი პატივის ცემა,  
 ილოცეთ მათზედ და როს სწეველიდეთ  
 ნუ დაივიწყებთ, რომ ეს გულისა  
 სიყვარულია! (გადაეხვევა ურიელს).



## სანტოს.

ორს მსხვერპლსა სედავს

აქ თვის წინაშე ჩვენი ტამარი!

ოჲ, ძმანო! ვისაც გული წმინდა გაქვით

მოშორდით ამა შემწიველულს ადგილს!

(ჩამოდის ტერასიდან თავის მსლებლებით და გადის.

შეშინებული და დაღონებული სტუმრები მას თან გასდევენ).

## იოსები (მანასეს და ივდიოს)

სარწმუნოების საგანი მე აქ

არაფრად მჩანს; მე მხოლოდ ვსედავ

აქ ჩემს შესასებ ხალხის დაღატსა.

მაგრამ მეცა მრწამს ძველი ღმერთები,

ღმერთნი, რომელნიც ჩვენ გვასწავლიან

უტუბილეს გომნობას: შურის გებისას! (გადის).

## მანასე.

რით, გათავდება ესე სიზმარი,

და უკვლა იგი, რაც აქ დღეს მოხდა,

ვით იმოქმედებს ჩემს ცხოვრებასად, —

მე ეს არ ვიცი და მიიმინდვია

ამის გაგება იმისთვის, ვინცა

ქვენიურობას ჰმართავს, განატებს —

ბოროტად მღიმათ შემთხვევისათვის...

ოჲ, შეილა ივდიო! ძნელი იქნება

დაკადგით ისევე შევლებურს გზასა!...

ურიელ, შენ ჯერ აქ უნდა დარჩე,

ამ ღმერთებისა და მუზთა შორის:

ივინი შენ არ გაგეჭვვიან!

მე კი ამ წამში უნდა წავიდე

ამსტერდამშია... შენც ჩემო ივდიო

თან გამოძევები, — ზდილობის წესსა

შენ ნუ დაარღვევ. იქ მოვიფიქროთ —

თუძნა ეს მეტად სამძიმო არის, —

ამს იქითა როგორ მოვიქნეთ! (გადის).



### ივლით.

ესრედ, ჩემი ხარ! წმინდის სიმართლით  
 მტრებს გამოვსტაცე მე შენი თავი!..  
 ჰხედავ რა რიგად მიუვარს ის ღმერთი,  
 რომლის ღოგვაცა შენ მე მასწავლე!  
 ოჰ, გერწამდეს იგი, იმედი გეჭმინდეს!..  
 აწ შენ, სატრფოვო, თან გამოძევები!  
 ვისან აჭვს მტკიცე გულისა ნება  
 ის ჭკუანასან დაიმორჩილებს!

(გადის ურიელთან ერთად).

### ბასართობი.

ჰ. ქუთაისში ორი სასტუმრო „კოლხიდა“ და „ბათუმი“  
 (უკანასკნელი ესღა „ვიზანტიათ ზრის გადაკეთებული“) ერთმანეთს  
 შეჭყურებენ და ვიბე სქელს (უფრო თხელი) თავადიშვილებს თა-  
 ვისკენ იწვევენ. „ბათუმის“ სასტუმროში სცხოვრობდა ჩვენი ზატვი-  
 ტიშვილი ზოკტი მამია. ერთს მშვენიერს ღამეს ვიღაც „კოლხი-  
 დის“ მომხრემ „ბათუმს“ წერს წაუკიდა, რომ მეტოქესთვის  
 დღე მოესპო, მაგრამ ის კი დაავიწყდა რომ „ბათუმი“ დაზღვეუ-  
 ლი იყო.

წერსლის გამჭრობმა მამინამ ისე დროსედ მოასწრო, რომ  
 ერთი მესამედი ამ ვეპერთელა შენობისა მანც გადაარჩინა.

ერთს ამ გადაარჩენილ ოთასთაგანში მოთავსდა თავის მუხით  
 ჩვენი ზოკტი.

ბერს სახს არ გამოუვლია ერთმა რუსულ ლიტერატურაში  
 მუშაკად ცნობილმა პირმა ქეითისა მამიას:

— Ваше сиятельство, гдѣ Вы живете, чтобы навѣстить  
 Васъ!

— Я живу на развалинахъ „Батума“ и наслаждаюсь при-  
 родою „Колхиды“ მიუგო მამიამ.

\* \*

ერთხელ გამოჩენილი რუსის მწერალი ა. ზუშკინი ერთს  
 თავადის-შვილის სახლში იყო სადილათ მიწვეული. სადილობის

დროს ზუშკინს საზოგადო სტოლთან ადგილი კერ შესჭდა. მას-  
პინიელი შესწუსდა, მაგრამ ჰოქტმა მასპინძლის წინდაუხედაობა  
ხუმბრობაში გაუტარა, აიღო იქვე ახლო მდგომი მრგვალი სტო-  
ლი, წინ დაიდგა და შორი-ასლო მოუჯდა. ამ დროს შემოდის  
გ. ორ-ვი, რომელიც სადილათ იყო მიწვეული. გადაათვალიერა  
ხამწერივებული სტუმრები და სთქვა:

— ძე მაინც თქვენთან ადგილი არ მოგებია და ზუშკინს მაინც  
დაუმშვენებ მხარსა—სანამ დასაკდომად სკამს მოუტანდნენ, აი-  
ღო ერთი ზრუძეა,“ აზაყი, გადაჭკრა და ჭამა დაიწყო... ზუშ-  
კინმა უურადღებან არ მიაქცია. გ. ა-ვი ვითამ ეახუნჯა ენა-მასვილ  
მწერალს:

— ზალექსანდრე, ერთი მითხარი ადამიანი რით განიბნება  
პირუტყვისაგან?“

— ამით რომ პირუტყვი, როცა საჭმელს სჭამს, ფეხსკედა  
დგას, ადამიანი კი ზას—მოუგო ჰოქტმა.

## ს ყ რ ა თ ი

(სოფლის ცხოვრებიდან).

მარიამობის თვის დამდეგი იყო. იმ სოფლის მცხოვრებელ-  
ნი, რომელზედაც ჩვენა გვაქვს ლაპარაკი მორჩომილ-  
ნი იყვნენ თავიანთ საქმეს და შეგროვებული ჰქონდათ ზამ-  
თრის გამოსაკვები სარჩო. მზეს მალლა წამოეწივნა და მიფუ-  
რის სიამაყით დასცქეროდა ქვეყანას. სიცხეს ისე შეეშინებინ-  
ა ეს სოფელი, რომ არამც თუ ხალხი, ძალლიც კი არ და-  
წანწალებდა მიწდვრებზედ.

მართი დიდი ხის ჩრდილოში წამოტყლარკუთლიყო ექვსი-  
ოდე ბიჭი და გორავდნენ, სიცხე არ აძინებდათ, ბურანში  
იყვნენ. მართმა ბიჭმა წამოიწია, მაიწმინდა შუბლიდგან ოფ-  
ლი და დაუწყო თავის გვერდით მწოლარე ბიჭს ლეიძება.

— რა გინდა ბიჭო, წამოიძახა სიცხესაგან შეწუხებულმა  
ბიჭმა.



— ადვილად, კაცო, რა დაგემართა შე ოჯახ-ქორო, უთხრა ლექსომ.

— აბა რა გინდა ჰა, რომ აედგე? ჰკითხა ზოგიაშ.

— შენი ნაცვამი ახალუხი, რა უნდა მინდოდეს, ვერა ხედავ როგორ დაცხა. გააღვიძე ვეგნიც და საბანაოთ წავიდეთ, უთხრა ლექსომ.

— მართლა ე ტიალი რა ცხელა, სთქვა ზოგიაშ და დაუწყეს ორთავემ ლეიძება თავის ამხანაგებს.

ნახევარ საათის შემდეგ ეს ექვსი ბიჭი და მეშვიდე პატარა, შედღი-რვა წლის „ზიგოლა“ ტანს იხდიდნენ მდინარის ნაპირზე.

— ბიჭო, ე ვილა წამათრია, რა წალარჩოს, სთქვა პოსტიამ, „ზიგოლაზედ.“

— დიიახ! წამოიძახა ზიგოლაშ.

— რა უყო მეც ბევრი ვუთხარ, მაგრამ, როგორც ცერცივი ქვას არ მიეკარება, ისე ჩემი სიტყვა მაგას, ჩემ ფეხებზე, მე კი ბრალი ამიყრია და... სთქვა ლექსომ.

— მართი ორი აყლაპოს მაგას, სთქვეს სხვა ბიჭებმა.

ამ ლაპარაკის დროს ყველანი დატიტვლდნენ და წყალში ერთი მეორეს გადაჰყენენ წყალში. წყალი ღრმა არ იყო, მაგრამ ჩქარი იყო. ზიგოლაშაც გაიხიზა, წყალში ნება-ნება შევიდა. ის ხედავდა რომ დადრონი ბიჭები, შიგ შუაში იდგნენ და ჰყუმპალაობდნენ, იმანაც მოინდომა იმათსავეთ ბანაობა და წინ-წინ შევიდა და თან ხელებს აჰყავუნებდა. წყალი ფეხებ ქვეშ აკლიდა ქვებს; ზიგოლა შირს იყურებოდა რომ ფეხი არ გადაბრუნებოდა მგორავ ქვებზე და წყალში არ წაქცეულიყო.

— ბეგლი, უცებ დაიძახა ზიგოლაშ და მიბრუნდა უკან გასაქცევად, მაგრამ ბედმა უმტყუნა: ფეხ ქვეშ ქვა გადაუგორდა და პირქვე წყალში ჩავარდა... მიშე.... ეს კი დაიძახა და პირი წყალით აემსო.

შს ყველაფერი ისე მალე მოხდა, რომ ახლო მობანავე ბიჭები ისევ გაშტერებული იდგნენ და ერთმან-ერთ შესცქეროდნენ. მერე ისევ ზოგია მოვიდა გონს და დაიყვირა:

— ზიგოლა წაიღო წყალმა, და გამოვარდა კიდეც ნაპირას; ამას გამოჰყვენ დანარჩენიც. მრთმა საჩქაროთ ტანისამოსი გადიცო და გაიქცა სოფლისკენ, დანარჩენნი კი ნაპირნაპირ ჩაჰყვენ და ზიგოლას ეძებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლიდგან მოცვივდნენ კაცები და დაჰყვენ ნაპირნაპირ.

— აქ არის! დაიყვია ერთმა მათგანმა, გადაერია წყალში და გამოიტანა წყალისაგან გაბერილი ზიგოლა. წაიღეს მაშინვე ჩრდილში და ფეხებით ჩამოჰკიდეს ხეზედ. ზიგოლას პირიდგან კარგა წყალი წამოუვიდა, რის გამოც სიმსივნემ კარგათ უკლო.

აგერ მამისათვისაც ეილასაც გაუგებინებია და გიჟივით მორბის. რალაც სიტყევებს ბუტ-ბუტობს... ზიგოლა... წყალმა... წაიღო... და სხვ. მაგრამ ხალხმა დააშოშმანა.

როცა, ზიგოლა ცოტა გონზე მოვიდა, ჩამაიღეს ხიდგან გაყოფინეს ახალუხში ხელები, ამოაცვეს შალვარი და შინ წაიღეს. ყველას ეცოდინება რა თავზარ დაცემული მიეგებოდა დედა. ძალები აშოშმინებდნენ, მაგრამ დედა ვერ ითმენდა. აი მივარდა შეილს. ხენა და კოცნა დაუწყო. მამაკი გამოყრუებული იდგა და შესკქეროდა. თინათინამ საჩქაროთ გაუშალა ლოგინი და ჩააწვინეს ცოტათი გრძნობაზედ მოსული ბაშვი. ხალხი დაიშალა. ღედ-მამა კი თავით მიუსხდნენ და ჩაელაპარაკებოდნენ, მაგრამ პასუხის მაგიერათ კბილების კაწ-კაწი ესმოდათ. აგერ დაღამდა კიდეც. მთვარემ ამოაშუქა და თავის ოქროს ფერი სხივები მოჰფინა არე მარეს. ხალხი ფუთკარივით ირეოდა და მუსაიფობდნენ ზიგოლაზედ. ძარში ამ ლაპარაკით დროს ატარებდნენ, სახლში კი, სადაც ლაპარაკის საგანი იწვა სულ სხვა სცენა ჰხდებოდა. ღედ-მამას ძილი მოჰრეოდათ და თავებს აკანტურებდნენ. ზიგოლას სიცხე მისცა და დასუსტებული თვალებით უყურებდა ფანჯრიდგან მთვარეს; მთვარე ისე საყვარლიანათ უსკქეროდა ასე ეგონებოდა უნდა თავისკენ გაიტყუოსო.

ხალხი თან და თან მიჩუმდა და ჩამოვარდა. მართლა „მკედრული“ სიჩუმე. მარტო ერთ მთვარეს და პატარა ზა-

საქონლის  
118000313

გოლას არ ეძინათ. მთვარე დასაელეთისკენ გაღიზარა. მამლებმა ყივილი დაიწყეს. აღმოსაელეთის მზემ, მთების წვერებში, რომლებზედაც ბამბასავით ღრუბლები დალიე-ლიეებდნენ, მზემ ოქროს ფერათ შეღება. პატარა ბიჭები თვალების ფშენეტით და თავის ქექით მიერეკებოდნენ საქონელს, ხალხი ფეხზე იყო... დედაკაცები ქათმების და ბატების ძახილში იყვნენ. აღარც შიგოლას დედმამას ეძინა, ესენიც და ფუსფუსებდნენ.

— დედაკაცო, პატარა ხალი ააშურე, რომ მკითხავთან უნდა წახვიდე, უთხრა ძელომ თინათინს.

— ჯერ არც კი ეღვიძება, მიუგო მოწყენით თინათინმა.

როცა ყველაფერი მიაღაგ-მოაღაგეს ლობიო შედგეს, მზემ კარგა წამოიწია. თინათინმა ტახტის ქვეშიდგან გამიღო დაგლეჯილი ხარაზის ბაშმაკები, თავზე შავი მოსახვევი მაიხვია ხელებზე თითებ დაკენტილი ხელ-ჯავგები გაიკეთა და ხუს-ხუსით მკითხავთან გაიქცა; მამა თავით მოუჯდა შიგოლას და ჩეღაპარაკებოდა:

— დედა ეხლა მკითხავთან წავიდა, ის ეტყვის და მორჩები; ჰოო შეილო?! თითქოს პატარა ბავშვი ჰკრძნობდა თავის მდკომარეობას, იმედ გადაწყვეტილი იყო; ყურსაც არ უგდებდა. სოტახნის შემდეგ კარი გაიღო და ქოხში შემოვიდა უკმაყოფილო სახით თინათინა.

— ატრიალა, ატრიალა შავ-ტარა დანა, მაგრამ სწორე არა ამოვიდა რა; მითხრა ორ-შათათს მოდიო დღეს ხო ხუთ-შაბათიო.

— ნეტა ი დალოცვილი რომლის ძალა იქნება, სთქვა ძელომ თავის ქნევით.

— შენაცვალე იმის მადლს, ნამდვილათ „ენისლის მარია-ამობა იქნება,“ შენ რო სულ ლოთობაში გაატარე ი დღეობა და, ნახევ არ საათიც არ ილოცე და სანთელიც რიგიანათ არ დაუნთე, მარა იქნებოდა.

— რა ექნა აკი ვილოცე, მაგრამ ეს სულ იმ ოჯახ-დასაქცევის ამბავია?

— მისი, ჰკითხა თინათინამ.

— მისი და აი ოჯახ-დესანგრევი ჩვენებიანთ ტეტისი.

— რა იყო იმან ხო არა აწყენინა რა?

— რალა არ აწყენინა, როცა დაითერება ხომ აღარა ახსოვს რა: ღია ეკკლესიის კარებთან გამოვიარეთ და ერთ ბიჭ ღმერთი შააგინა, მერე ი ოხერი, კარებთან რო მივიდა მაშინ.

— შეხედე იმ პირშავს იმას და...

ბაიარა რამდენიმე დღემ. ბიგოლა სულ უკან და უკან მიდიოდა. მცქეტი, ყოჩალი, ფერ-ხორციანი ბავშვი—ისე დაუქლურდა, რომ გადაბრუნ-გადმობრუნებაც კი აღარ შეეძლო. ღადგა ორშაბათი. თინათინ უნდა წასულიყო მკითხავთან... გაიქცა. უკან როცა დაბრუნდა დიდის ყოფით დაიწყო მკითხავის ნალაპარაკები:

— მართლა ქა, წმინდა მარამობის ბრალი ყოფილა: ერთი სიტყვით ისეთი გაჯაერებულია თქვენზედ, რომ თუ დღე-დღეზედ არ წახვედით სალოცავათო და კარკი კურატი არ დაუკალითო ან ჯერ-ჯერობით კაი ცხვარი, ის ბავშვი ხელიდკან გამოგეცლებათო... აბა ახლავე პატარა ვისაუხშოთ და შაუდგეთ წასასვლელათ მომზადებას. წადი ახლავე და ვისმე ან ცხვარი გამაართვი ან ფულა და იყიდე.

თედო მაშინვე წამოდგა და წაეიდა ცხვარის საშოენელათ. თინათინმა მოიხადა მოსახვევი და მიულუკლუკა ავად მყოფ შვილს:

— ხვალე დილით სალოცავათ წაეალთ და კარგა გასდებიო. ბაშვმა გაიღიმა, იმისთვის კი არა რომ მოერჩებო, იმისთვის უფრო, რომ ერთი კიდევ გაიხედავდა კარზე. ან კი როგორ არ გაჰხარებოდა: ბაშვი ნაჩვევი თავისუფლობას, ამხანაგებთან თამაშობას, ეხლა ყველაფერს მოკლებული იყო დამწყვეტალი ჩიტივით... ყველაფერი მომზადებული ჰქონდათ, როცა დამდებოდა. მთვარე თავისებურათ ანათებდა ამ მწუხარე სოფელს.

როცა აღმოსავლეთის კარი გაიღო და მზემ წითლათ შეღება მთების წვერები ერთი ურემი მიჭრიალებდა ენის-ძლისკენ. ამ ურემში ისხლენ ჩენი ნაცნობი თინათინ და

ზიგოლა. თედო კამეჩებს ერეკებოდა! ურმის უკანა ქალაზე ცხვარი იყო გამობმული. თუმცა ეჩქარებოდნენ, მაგრამ სიცხემ მაასწროთ და მძინარე ზიგოლა ძალიან დაითენთა. ღილის თერმეტი საათი იყო მნისელში რომ მივიდნენ დაჰკლეს ცხვარი, მოხარშეს, დაჰპატიყეს რამდენიმე გლენი და გააჩადეს, სადილი. იმ ღამეს იქ დარჩნენ და დიდ ლოცვაში გაატარეს ღამე. მეორე დღეს შინ დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ ზიგოლა კარგა გახდებოდა. მაგრამ... ზიგოლა გზაზე დაითენთა, მერე გაცივდა და უარეს დღეში ჩავარდა... ამ ღამეს ყველას რო დაეძინა ზიგოლას გამოეცხადა მთვარე და იტყუებდა თავისკენ... ზიგოლასაც მოეწონა მასთან ყოფნა... გაუწოდა ხელები....

### ქართული ზამოსანები.

მე გამსტომი კარგი მსტომი  
 აღისფურათა მაქ ფრთები,  
 აპრუწუწუნს დაგვიძახებთ  
 ციხე მაქ და ზედ შევსტები.

ვინილე კაცი რომელიცა ცან ბეწვით ება,  
 მისვე კაცისა შუბისა წვერსა ზედა ოქროს ჩარდასი იდგა,  
 ცხენს იჯდა ჯერანს მისდევდა  
 ზღვის ზირ-ზირ შამოირბენდა.

ერთი რამე შეავს შრომანი  
 უცხო რამეა გოგმანი,  
 საღამოს ზღვაში იფლებს  
 დილას შომივა ცოცხალი.



## დრამატული ხელოვნება.

### გრემი, ტანთსაცმელი და სამკაულობა.

აქტორის ერთს უმთავრესს სასცენო საჭიროებას შეადგენს გრემი ანუ გრიმიროვკა. რაც უნდა გენიოსი იყოს არტისტი—უგრემიროვკოთ ჯეროვანს შთაბეჭდილებას ვერასოდეს ვერ მოახდენს მაყურებლებზედ, — ამიტომაც აქტორმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს გრიმიროვკას, ურომლისთაც თითქმის თამაშობა არ შეიძლება.

შაველს ხასიათს თავისებური სახე აქვს; ყოველს ტიპს სულ სხვა და სხვა სახე აქვს, ესე იგი, სხვა და სხვა გრემი.

გრემი—ხელობაა. როდესაც აქტორი სცენაზედ კარგი გრემით გამოდის ჩვენ ვამბობთ, რომ აქტორს როლი კარგათ შეუფერია—და ეს ტყუილი როდია. კარგი გრემით გამოსვლა უთუოდ კარგ დაკვირვებას და როლის შეგნებას თხოულობს აქტორისაგან.

ამისათვის ვგონებთ, რომ მეტი არ იქნება, ამ საგანზე თუ არ დაწვრილებით, უმთავრეს საგნებზე მაინც ვსთქვათ რამე.

შაველს გამოჩენილს არტისტს, თუ კარგათ არა, ცოტათი მანც სცოდნია მხატვრობა, თუ პრაქტიკულად არა-ტეორეტიულათ მაინც. მხატვრობა იმისათვის არის საჭირო, რომ გრიმიროვკა თითქმის იგივე მხატვრობაა; როგორც მხატვრობაში აქაც საჭიროა კრასკები (ფერები) და სხვა სამხატვრო მასალები.

ბევრი მაგალითები ყოფილა, რომ კარგს გრიმიროვკას გამოუხსნია აქტორი ვაკვირებისაგან. ხან-და-ხან გრემი ისე მოხდენილად და ხელოვნურად არის ვაკეთებული, რომ აქტორის უხეირო თამაშობასა ჰფარავს.

გრემი შეეხება მხოლოდ პირისახეს და ამიტომ თავდაპირველად პირისახე თავისუფალი უნდა იყოს ყოველი გრემის დამაბრკოლებელი მიზეზებისაგან—წვერულვაშისაგან.

თუ აქტორი მართლა გულმოდგინეთ ემსახურება სცენას და არა დროს გასატარებლად, მაშინ როგორც წვერი, აგრეთვე ულვაშიც მოპარსული უნდა ჰქონდეს. ბევრი აქტიორები ულვაშს იმ მიზეზით არ იპარსამენ, ვითომ სახის სიმშვენიერეს გვიფუჭებსო. ეს ჩვენის აზრით დიდი შეცდომაა. ულვაშები, მართალია, ბევრს უხდება მაგრამ თუ კი ერთხელ

შესდგამს ფებს სცენაზედ, მაშინ მთლად უნდა დაემორჩილოს სცენის კანონიერ მოთხოვნებს—უნდა დაიფიქროს რა ხდება კერძო ცხოვრებაში და რა-არა. აქტორს, ედმონდი კინისა არ იყვეს, მხოლოდ ეს უნდა ჰქონდეს დევიზად: „ჯერ ხელოვნება და მაყურებელთ დატკობა და მერე ჩემი პირადული სიხარული და ქირვეულობა“ და მართლაც რას დაეძებს მაყურებელი რა უხდება აქტორს და რა არა. მაყურებელი თხოულობს მხოლოდ თავისი ესტეტიური გრძნობის დატკობას და დაკმაყოფილებას და ამ სასცენო ხელოვნური ესტეტიკას აქტორმა უნდა შესწიროს თავისი პირისახის ესტეტიკა და სიმშვენიერე. ესეც რომ არ იყოს განა ულვაშის უქონლობა მახინჯობა? სრულიადაც არა—მახინჯობა და ქუჩის სიმტკნარე ის არის, როცა ასეთს უსუსურ ჭეშმარიტებას კაცი ეწინააღმდეგება და კერპობს.

ზოგჯერ ისეთი როლები უნდა ითამაშოს აქტორმა სადაც ულვაში საჭირო არ არის; ულვაში კი კოხტად გაღუგრენია—რას იზამს ამ შემთხვევაში! მრთი საშუალებალა არის: ან მოცაბოს, ან არა და მიიწებოვოს. ულვაშები საშინლათ აფუჭებს გრიმსა)—ირჩია მიწებოება მაგრამ ვაი იმისი ბრალი წარმოდგენის შემდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ აქტორმა სცენაზედ ულვაშებით ხუთი წელიწადი გაატარა, მეექვსეზედ ერთი ბეწვიც აღარ შერჩება, ამაში ჩვენ ბევრი აქტორები დაგვერწმუნებთან.

შნლა ენახოთ რა საშუალობით, ესე იგი, რა ნაირი კრასკების (ფერის) წასმით რა გვარი ცელილება ხდება პირისახეზედ და მერე განვმარტოთ, როგორი გრიმი უფრო უხდება სხვა და სხვა ტიპებს და ხასიათს...

**გაქოფილი ანუ სხვილი ნიკაპი.** ნიკაპის შუაში უნდა წაისვით ყავის ფერი კრასკა და ნიკაპის ბოლო გაითეთროთ.

**წვრილი ნიკაპი.** ნიკაპის შუა წაისვით თეთრი კრასკა და ნიკაპის ძირი გაიშავეთ, მაგრამ ძრიელ კი არა—იმდენათ რომ თეთრი ლაქა შორიდან აშკარად გამოჩანდეს.

**პატარა პირი (ტუჩება).** ქვევით ტუჩზედ შუაში გაუსვით ხაზი შავი კრასკით.

**დიდი პირის ნაპოზი.** სიგრძეზედ გაუსვით შავი ხაზი, ტუჩების ბოლოებზედ—მაშინ პირი დიდდება.

**ბამბდარი პირის სახე.** გაუსვით შავი ხაზი ლოყაზედ ისე რომ სამ-კუთხედი გამოვიდეს, მაგრამ ამ სამ-კუთხედის წვერი ძირს იყოს მოქცეული სწორედ ცხუა-ის ქვეშ.

მსუპანი პირის სახმ. შეიღებეთ ლოყები თეთრად.

**წარილი ტუჩები.** ძველით ტუჩის ნახევარი სიგრძეზედ თეთრად შეიღებეთ.

**სქელი ტუჩები.** ძველით და ზევითი ტუჩები სიგრძეზედ წითლათ შეიღებეთ.

**პატარა სხვირი.** სხვირის ძირი, ესე იგი, ნესტოები გაიშავეთ,—გაიშავეთ აგრეთვე სიგანეზედ ცხვირი თვალს და თვალ-შუა, შემდეგ წაისვით თეთრი ლაქი ცხვირის წვერზედ.

**წარილი სხვირი.** სხვირის სიგრძეზედ გაუსვით წერილი თეთრი ხაზი, შემდეგ ორივე მხარე გაიშავეთ.

**დიდი, მოზრახილი სხვირი.** ისე კეთდება, როგორც წერილი, ხოლო თეთრი ხაზი, ცხვირის გრესილზე უფრო ფათოდ უნდა გაუსვას.

**დიდი თვალები.** გაისვით ვერცხვი შავი ხაზი ქვემო წამწამების ქვეშ ისე რომ ხაზი ქუთუთოებს გადასცილდეს.

**პატარა თვალები.** წამწამების ბოლოებზედ დასვით შავი ლაქი (წერტილივით).

**ჩაშარდნილი თვალები.** სოტათი გაიშავეთ თვალების (ორბატო) ქუთუთოები.

შუბლის სიმაღლეზედ არის დამოკიდებული შუბლის გრამი მაღალი შუბლი სჯობია—მაღალი შუბლი ნიშნავს სახის მჭევრ-გამომეტყველებას.

**ბერიკასის უშუბლი.** პირველად სოტათი გაიშავეთ შუბლი ისე რომ პირზე მოშავო იყოს, შემდეგ გაუსვით ყავის ფერი კრასკით ხაზება, ესე იგი, გააკეთეთ ღარები. ღარების დასხმა საზოგადოთ სოტათი საქმეს აძნელებს, რადგან აქ დიდი და კვირვება ეჭირვება. ოცი წლიდან დაწყებული ოთხმოცამდე კაცს შუბლზე ღარები აქვს. საჭიროა, რომ აკტორმა იცოდეს რამდენი „წლისა ტიპი“ ან ხასიეთი, რომელიც უნდა წარმოადგინო—და ამ წლოვანობის შესაფერად დაისვას ღარებიც.—

**პატარა ღარები უშუბლზედ.** თუ ტიპი გამოგყავთ ქერა მაშინ წითელი ხაზი უნდა; თუ შავგრემანი ყავის ფერი კრასკით გაისვით ხაზი შუბლზედ და მერე ის ხაზები თითოთ სიგრძეზედ გასრისეთ; შემდეგ ამ გასრისილებზედ გაუსვით ხელ ახლად ოთხი ან ხუთი შავი ან წითელი ხაზები.

**დიდი ღარები უშუბლზედ.** ისე კეთდება, როგორც პატარები, მხოლოდ საჭიროა ღარ და-ღარ შუა თეთრი ხაზები გაისვით და თითოთ გასრისოთ.

**ერთი დიდი ღარი უშუბლზედ.** წარბების თავიდან დაწყებული გაისვით ერთი დიდი ხაზი ზევით და თითოთ გასრისეთ, შემდეგ ხელ ახლა გაუსვით ღარი იმ ალაგს.

**ღარები თვალშთან.** რადგან ყოველ გრიმს აუცილებლათ უნდებოდა. ღარები თვალშთან ამასათვის ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თვალ ქვეშ თითოთ წაისვით ყველის ფერი კრასკა-ესეთივე ფერი გაუსვი თვალის ბოლოს (ქუთუთოებს) მეორეხაზი უფრო ძირს, მესამე მეორეს ძირს და მეოთხეც ამ რიგათ.

**ღარები ცხვირსა და ლოყავა შუა.** თითქმის თვალის კილოდან დაწყებული უღვაშებამდინ გაისმის წერილი ხაზი, რომელიც თითოთ უნდა გაისრისოს, მეორე ხაზი ნესტოებიდან უღვაშებამდინ ისევ იმ გვარად.

**ღარები ტუჩებთან.** შაეის ფერი ხაზი გაისვით ტუჩების კილოდან მოყოლებული ძირს. საზოგადოთ გრიმის დროს, როდესაც ხაზები ძირს მიდიან, ნიშნავს მოწყენილს, დაღვრემილს, მტირალს სახეს; როდესაც ძირიდან ზევით, სიმხიარულეს, ბედნიერმბას, მეტადრე როდესაც ღარები თვალთან ან ტუჩებთან უნდა დაისვას, ხსენებული ორ ნაირი ხაზების ასმას დიდი ყურადღებას უნდა მიექცეს.

**ელამი თვალში.** ზევით წამწამზედ (вѣка) დაისვით, ცოტა განზე, შაეი ლაქი.

**ბრმა თვალში.** შეიღებეთ მთელი თვალის ორბიტა წითლათ, ამის შემდეგ ქუთუთოს (вѣка) სიგრძეზედ გაისვით წითელი სქელი ხაზი-წარმოადგენის დროს თვალები გაღებრუნეთ.

**ხალი, გეჰეი, დაჩხილი, დალურჯავული და სხვა** მაგისტანა ნიშნები ისე კეთდება როგორც მხატვრები ხატავენ ხოლმე.

## კვირიდან-კვირამდე.

◆◆ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად ირიცხება: 65522 სტუდენტი, უნივერსიტეტები და სხვა მათი თანაბარი მაღალი სასწავლებელი 370; ამ რიცხვში 145 მედიკური და 57 იურიდიული ფაკულტეტი. საქალბო სასწავლებლებია 236; სხვა და სხვა სპეციალური ქალის წელსაქმის სკოლები 255. ნემეცური პირველ-დაწყებით სასწავლებელი და გიმნაზიები: 2464, რომელშიაც სწავლობს 430,465 მოსწავლე. ოჰ! ღმერთმა გვიხსნას ამოდენა მსწავლელი ხალხისაგან. კაცი ამათ ხელში რომ ჩავარდეს, სწორე გითხრათ, კეთილს არ დააყრიან. აი თუნდა ეს მაგალითი ავიღოთ.

ამერიკაში სასამართლომ ვილაც „ფონს-ს“ გარდაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, ეს გარდაუწყვეტილება განაფხულზე უნდა მოეყვანათ აღსრულებაში. ამის გამო მსაჯულმა მიჭმარათ დამხაშავეს ამ სიტყვებით: „ფონს! სისხლის

სასამართლოს ჰქონდა განზრახვა თქვენი დასდა გადაედო გაზაფხულამდის (აღობათ ზამთარში იყო ეს ამბავი), მაგრამ როგორც ჰქედავთ ესლა ძალიან ყინვები დაიჭირა და ჩვენი საპყრობილე კი არა სასურველი მდგომარეობა- შია; თანდრის შეშები დამცურეულია, ბუზრები არა აქვს, დამხაშკენი კი იმდენი არიან, რომ კაცის თავზე ღამე თითო დასასური ზეწარიც ვერ მი- გვიცია. ამა მიზნების გამო და კიდევ იმიტომ, რომ ან ავით არ გაქნდეთ ახ კიდევ—რამდენადაც შეიძლება რომ შევამოკლოთ შენი ტანჯვანი, ჩვენ გადავწყვიტეთ ზვალ სადილის უკან, როდესაც კი დრო გექნება, მოგტრათ თავი... სწორე მოგანსენოთ ამ გვარად მზრუნველი მსადელი პატივის ცე- მის ღირსია. ჰვალბათ კაცი სადაც სცხოვრობს იქაურ წეს-წყობილებას უნდა ემორჩილებოდეს, მეტი ღონე არ არის... მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ჩვენზე უფრო ახლოა.

◆◆ ყველა ახალი მოდის მოგონება ფრანგებს დაუპყრით და ვერავინ ვერც აფლობებს მათ. თუ სადმე კარგი რამე „მოდა“ მოგონილა უსათოვოდ ამ მოდას თავისი დასაწყისი საფრანგეთში უნდა ჰქონდეს. როგორც ისინი (ფრანგები) არიან გამოგონებაში დაუღალაუნი ისე ჩვენ არ ვიღლებით მიბა- ძეთ; ავილოთ თუნდ „ტურნური“ „კარსეთი“ და სხვ. და სხვ. იმათგან მო- გონილს ჩვენც უსათოვოდ შემოვიღებთ... მაგრამ, ესლა ფრანგებს უფიქრით: ყოველთვის ჩვენგან რომ არ ისარგებლონ სხვებმა, ერთხელ ჩვენ ვისარგებ- ლით სხვის მოგონებითა და, ჩვენიდგან თავის ცხოვრებაში გადაუტანიათ...

ვირების დოღი. დეკემბრის დამდეგს იყო დანიშნული „ვირების დოღი“ რო- მელშიაც მონაწილეობა მიიღეს ოცმა მხედარმა. დანიშნული საჩუქარი აიღო ვილაც ახდრემ... უსათოვოდ ეს საჩუქარი ავლაბრელი „გოგრობას“ ერგებოდა თავისი ვირით რომ წასულიყო... ეჰ! რაც უნდა ვსთქვათ მაინც იქაური ვი- რი სფობია ჩვენებურ ბედაურებს... რა ამ სიუჯვის პასუხია და.

დაიბუჭდა და გამოვა საურაღლებო წიგნავი „საქებაართა ქებანი“ —არიჭაშვილისა. მივაქცევთ მკითხველების უურაღლებას.

### „თეატრის“ ფოსტა.

ელ. გურ—მისას. როდესაც ადამიანს „გულის სტრელკა მწუნარედ აუბეგრდება, „ეომება თავის სიცოცხლეს“ და „ცრემლებსა ჰელაპავს,“ — ამისი ვრთ-ვრთი წამალი წყალში ჩაყურყუმადლება. ამისთანა ღონის მიმარ- თვას, გირჩევთ ისევ თავი დაანებოთ „ცრემლების ყლაპვას,“ მწუნარედ ნუ აბეგრებთ გულის სტრელკას, „სიცოცხლეს ნუ ეომებით“ და ჩვენც დერ- დერობით დაგვეხსენით თქვენის ლექსების ვითვისაგან, იმ დრომდე მაინც, ვიდრე „გულის სტრელკას მწუნარედ არ ააბეგრებთ და „ცრემლებს აღარ დაუწყებთ ყლაპვას.“

მაინც იმედს ნუ დაჰკარგავთ, ეცადეთ.

სამტრედია. ნეს. წე—ლს. ღირებული ფასის გამოგზავნის შემდეგ მიიღებთ ორ-ორ ეგზემპლარს. უამისოდ აღარ გამოგიგზავნება.

რედაქტორი-გამომცემელი გ. ხაბაშიძე



# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

საქოველ-კვირალ სალიტერატურო და სამ-  
ხატვრო გაზეთი.

## „თ ე ა ტ რ ი“

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამით და შინაარსით როგორც აქამდე. წლის ბოლოს გაზეთი თ ე ა ტ რ ი დ გან შესდგება ორი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

თ ე ა ტ რ ი დაიბეჭდებიან: სხვათა მო-  
რის მოთხრობანი, როგორც ორიგინალური აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა თარგმანი, ზიესები, ანეკდოტები, მოსწრებული სიტყვები, გასართობები, ხალხური ლექსები, სამატემატიკო გამოცანები, ანდასები კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, რეცენსიები და სხვა და სხვა ..

რადგანაც აქა-იქა სოფლებში მატულობს რიცხვი სცენის მოყვარეთა, ამისათვის რედაქცია თავის მოვალეობათა ჭრაცხს დააკმაყოფილოს მათი სურვილი სცენასე ადვილად წარმოსადგენი ზიესების ბეჭდით.



გაზეთ თ ე ა ტ რ ი მოწაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციას უკვე აქვს რამდენიმე ახალი ორიგინალური თხზულება ჩვენის გამოცხელების. მწერლებისა.

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს მიიღებენ საჩუქრად ოქროს ვარაუიან უდაბი შეკრულს დიდ წიგნს, რომელშიაც იქნება არა ნაკლებ სამი კლასიკური პიესისა და რომელიც ეღირება არა ხელის მომწერთათვის ო რ ი მ ა ნ ე თ ი.

ფასი გაზეთი თ ე ა ტ რ ი ს ა: ერთი წლით 5 მ. ნახევარ წლით 3 მ.

რედაქციის კანტორა არის არწრუნისეულ ქარვასლაში № 149.

ადრესი გარეშე ხელის მომწერთათვის:  
**Тифлисъ. Контора редакціи газетъ „Театръ“. Галлерейя бывш. Арцруни № 149.**

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

18  87

ქ ვ ი რ ა ს, 18 ი ა ნ ვ ა რ ს,

ქართულ დრამატულ საზოგადოების დასისაგან წარ-  
მოდგენილი იქნება:

I

ზირველად

ს ა დ ი ლ ი

მ ბ რ უ ლ ი ს ბ ს

კომედია ერთს მოქმედებად, თ. რ. ერისთავისა (გად-  
მოკეთებული ივ. ტურგენიევის პიესიდან)

II

ბ ა ქ ი - ბ უ ქ ი

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული ფრანგულ-  
დამ კნ. ა. თუმანიშვილისაგან.

III

ზირველად

დ ა მ თ ს ვ ე უ ლ ი

კომედია 1 მოქმედებად, გადმოკეთებული  
ა. ცაგარლისაგან.